საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 52/00 „4" ივნისი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "
თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
ნინო ჩადუნელი
„04" 06 2010 წელი

ეგზ. N2

ა ქ ტ ი

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მიერ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტის შედეგების შესახებ

შესავალი

აუდიტის ფორმა: საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მიერ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტი .

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 თებერვლის №5/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტის დასახელება: საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის №4

აუდიტორები და მათ მიერ შესრულებული სამუშაოები: თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი მაია ქობალია (ჯგუფის ხელმძღვანელი) და აუდიტორი ნოდარ ავლახაშვილი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი: 2009 წლის 1იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა: აუდიტი დაიწყო 2010 წლის 25 თებერვალს და დამთავრდა 2010 წლის 7 აპრილს.

აუდიტის მეთოდი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

შემოკლებანი:

1. სამსახური - საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური;
2. ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებებში ცვლილებების შეტანის,აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება:

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად სამსახურს, 2009 წლის საბიუჯეტო განაცხადი კადრებისა (130 ერთეული) და ხარჯების (6500 ათასი ლარი) ზღვრული მოცულობების ფარგლებში ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი აქვს 2008 წლის 14 აგვისტოს (წერილი №5/4-1-3368-ს).

სამსახურს, საბიუჯეტო განაცხადით (დანართი N10) 2009 წლისათვის დამტკიცებული ზღვრული მოცულობების ზემოთ მოთხოვნილი ჰქონდა 70 საშტატო ერთეული და 5856 ათასი ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლით 1940 ათასი ლარი.

"საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სამსახურის წლიური საბიუჯეტო ასიგნებები დაუმტკიცდა ზღვრული მოცულობების ფარგლებში 6500 ათასი ლარი, ხოლო საშტატო რიცხოვნობა ზღვრულ მოცულობასთან შედარებით გაიზარდა 30 ერთეულით და შეადგინა 160 ერთეული. ამასთან აღსანიშნავია, რომ 130 საშტატო ერთეულზე გაანგარიშებული შრომის ანაზღაურების ფონდი არ გაზრდილა.

სამსახურის 2009 წლის საბიუჯეტო ასიგნებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის და დიაგრამის სახით:

ათასი ლარი

2009 წლის ასიგნება	6,500.0
მომუშავეთა რიცხოვნობა	**160.0**
ხარჯები	**6,234.2**
შრომის ანაზღაურება	3,716.2
საქონელი და მომსახურება	2,407.9
სოციალური უზრუნველყოფა	16.0
სხვა ხარჯები	94.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	265.8



სამსახურის მიერ 2009 წლის დამტკიცებულ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით განხორციელებული ცვლილებები მოცემულია ცხრილის სახით:

ათასი ლარი

	დამტკიცებული წლიური გეგმა	ცვლილება		დაზუსტებული გეგმა
		+	-	
1	2	3	4	5
შრომის ანაზღაურება.	3716.2	63.5	214.3	3565.4
საქონელი და მომსახურეობა	2407.9	170.8	64.4	2514.3
სოც.უზრუნველყოფა	16,0	7,0	7,1	15,9
სხვა ხარჯები	94.1	88.9	94.3	88.7
არაფინანსური აქტივები	265,8	5,8	105,9	315,7
სულ	6500	486	486	6500

ანალიზით დადგინდა რომ, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების მთლიან მოცულობაში ცვლილება არ განხორციელებულა, ხოლო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილება განხორციელდა 486 ათასი ლარის ფარგლებში (მთლიანი ასიგნების 7.4%). ასევე, ცვლილება განხორციელდა "არაფინანსური აქტივების" კვარტალურ განწერაში, კერძოდ მე-2 კვარტლიდან მე-3 კვარტალში გადატანილია 69.9 ათასი ლარის ასიგნება. ასიგნებების გადანაწილება განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამსახურის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6500 ათასი ლარი. აქედან, ხარჯებისათვის გამოიყო 6184.3 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივებისათვის 315.7 ათასი ლარი.

1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით:

დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების შედეგად 2009 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6500 ათასი ლარი. მათ შორის, ხარჯების გასაწევად გამოიყო 6184.3 ათასი ლარი. ამავე პერიოდში გადახდა (საკასო ხარჯი) გაწეულია 6184.3 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტობრივმა ხარჯმაც- 6184.3 ათასი ლარი შეადგინა.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების შესრულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ "შრომის ანაზღაურების" მუხლის ქვემუხლში „ხელფასები ფულადი ფორმით" ფაქტობრივი ხარჯები მეტია საკასო ხარჯებზე 2845 ლარით,რაც გამოწვეულია ბიუჯეტში მეტობით გადარიცხული საშემოსავლო გადასახადით 46 ლარი და 2008 წლის განმავლობაში განხორციელებულ მივლინებებზე გადარიცხული საშემოსავლო გადასახადით 2799 ლარი.

„საქონელი და მომსახურების" მუხლის საკასო შესრულება



"საქონელი და მომსახურების"მუხლის ქვემუხლში "ოფისის ხარჯები" ფაქტობრივი ხარჯი მეტია საკასო ხარჯზე 483 ლარით, რაც განპირობებულია მცირეფასიანი ინვენტარის ნაშთის შემცირებით.

"მივლინების ხარჯების"ქვემუხლში საკასო ხარჯი ფაქტობრივ ხარჯს აღემატება 2799 ლარით, რაც გამოწვეულია 2008 წლის მივლინებებზე გადარიცხული საშემოსავლო გადასახადის გამო.

"ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების" ქვემუხლში ფაქტობრივი ხარჯი ნაკლებია საკასო ხარჯზე 4483 ლარით, რაც განპირობებულია საწვავის ნაშთის შემცირებით. „სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯების"ქვემუხლში საკასო ხარჯი მეტია ფაქტობრივ ხარჯზე 201 ლარით, რაც გამოწვეულია ტყვია-წამლის მარაგის გაზრდით.

"სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების" ქვემუხლში ფაქტობრივი ხარჯი მეტია საკასო ხარჯზე 32,7 ათასი ლარით, რაც განპირობებულია არსებული დებიტორული დავალიანების ნაშთის შემცირებით.

არაფინანსური აქტივების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 315.7 ათასი ლარი. საკასო ხარჯი გაწეულია 315.7 ათასი ლარის ოდენობით.

დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული ხარჯები შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით მოცემულია ცხრილის სახით:

ათასი ლარი

ხარჯების ჩამონათვალი	დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტ.ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)
1	2	3	4	5
ხარჯები	6184.3	6184.3	6431.9	+247.6
შრომის ანაზღაურება	3501.9	3501.9	3504.7	+2.8
ხელფასები		3501.9	3504.7	+2.8
საქონელი და მომსახურება	2577.8	2577.8	2603.6	+25.8
შტატგ. მომუშავეთა ანაზღაურება		318.1	318.1	-
მივლინებები		244.9	242.1	-2.8
ოფისის ხარჯები		287.2	287.6	+0.4
წარმომადგენლობითი		81.7	81.7	-
სამედიცინო ხარჯები		2.4	2.4	-
ტრანს., ტექნ. ექსპლ. და შენახვის ხარჯები		331.1	326.6	-4.5
ტექნიკა და ტყვია-წამლის ხარჯები		1.6	1.4	-0.2
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		1310.8	1343.5	+32.7
სხვა ხარჯები		88.7	88.7	
არაფინანსური აქტივები	315.7	315.7	-	-

წარმოდგენილი ცნობის თანახმად სამსახურს გრანტი (ფულადი და სასაქონლო) ასევე საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხები არ გამოყოფია.

2. **ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):**

სამსახურს 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1423 საბალანსო ანგარიშზე (ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები) ერიცხება დებიტორული დავალიანება თანხით 63.5 ათასი ლარი, რომელიც გაცემულია ოპერატიული ხარჯებისათვის.

1424 საბალანსო ანგარიშზე (ანგარიშვალდებული პირის მიმართ მოთხოვნა ხაზინიდან გადარიცხული თანხით) ერიცხება დებიტორული დავალიანება თანხით 1318 ლარი,რომელიც გაცემულია საზღვარგარეთ საგარეო დაზვერვის ოფიციალურ წარმომადგენლებზე გრძელვადიან სამუშაო მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯებისათვის.

1442 საბალანსო ანგარიშზე (მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით) - დებიტორული დავალიანებაა 182.6 ათასი ლარი, რომელიც გადარიცხულია წინასწარ საბანკო გარანტიის საფუძველზე.რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას,სამსახურს 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ ერიცხება.

არაფინანსური აქტივების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 315.7 ათასი ლარი. საკასო ხარჯი გაწეულია 315.7 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი,პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი:

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის ხელმძღვანელი

უფროსი აუდიტორი:

მაია ქობალია მ. ქობალია 4.06.10წ.

აუდიტორი:

ნოდარ ავლახაშვილი ნ. ავლახ 4.06.10წ.